საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/220

ქ. თელავი

„10" „04" 2017 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ვაკანტურ ადგილებზე წევრთა არჩევნების დანიშვნისა და კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ " საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ-ე ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის"- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-7 მუხლის და მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ" დებულების მე-16 მუხლის, მე-17 მუხლის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 06 აპრილის დადგენილების (ოქმი N13) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში წევრთა ვაკანტურ ადგილებზე დაინიშნოს არჩევნები 2017 წლის 05 მაისს (10:00სთ- დან - 14:00სთ- მდე), უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2 წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, შემდეგ ფაკულტეტებზე:

ა) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი - 1 ადგილი
ბ) აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 ადგილი

2. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 18 აპრილს და დასრულდეს 2017 წლის 28 აპრილს;
3. კანდიდატთა განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი N27, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;
4. კანდიდატებმა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

   ა) განცხადება;
   ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა ფაკულტეტიდან.

5. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტს;
6. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს;
7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების ასლის განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
8. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი /ირმა შიოშვილი/